ეროვნული ბიბლიოთეკა

1 მაისი — მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღე — საზეიმოდ აღნიშნა მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ. საპირველმაისო ტრადიციული დემონსტრაციები გაიმართა ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში — მოსკოვში, მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებსა და ადმინისტრაციულ ცენტრებში. ხურათებზე, რომლებსაც აქ გთავაზობთ, თბილისში გამართული ზეიმის ფრაგმენტებია ასახული. (ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები).


პროლეტარეთო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

4 მაისი, ოთხშაბათი, 1988 წ.
№ 86 (9753) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


## „გთხოვთ, შეიტანოთ სიაში...“

სპორტის ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქცია სულიერად და ფიზიკურად ჰარმონიულად განვითარებული ადამიანის აღზრდაა. სწორედ ამიტომ სულაც არ არის უმნიშვნელო თაობათა მემკვიდრეობითობა: მაგრამ ტრადიციები და უფროსების გამოცდილება წარსულისა და აწმყოს თაობებურ შემაერთებელ ხიდად მაშინ იქცევა, როცა მემკვიდრეობითობა უწყვეტობის მყარ ნიადაგზეა დაფუძნებული. ცხადია, აქ სპორტსმენთა აღზრდა-დოსტატებასა და თაობათა ცვლაში მწყობრი სისტემის აუცილებლობაც იგულისხმება. აი, შარშან და შარშანწინ გაზაფხულზე ჩვენს გაზეთში გამოქვეყნდა იმ პერსპექტიულ სპორტსმენთა სიები, რომლებიც წარმატებით გამოდიან დიდ სარბიელზე. ეს ის თაობაა, ვინც ხვალ და ზეგ უნდა გააგრძელოს ქართული სპორტის ტრადიციები. უფროსების ადგილი დაიკავოს რესპუბლიკისა და ქვეყნის ნაკრებ გუნდებში. წლეულსაც, ვიდრე პერსპექტიულ სპორტსმენთა ახალ რაზმს, ქართული სპორტის ახალ შენაკადს საზოგადოებრიობა გაზეთის მეშვეობით გაეცნობა, სპორტსახკომის მთავარი სპორტული სამმართველოს რეზერვების განყოფილება გამოწვლილვით სწავლობს ყველა კანდიდატს, რათა შემთხვევითობა აბსოლუტურად გამოირიცხოს. ყველა პერსპექტიული მოზარდი აღრიცხვაზეა. ასე რომ, ვინ მოდის ჩვენ სახელოვან სპორტსმენთა ნაკვალევზე და ვისთან გვაქვს საქმე, მონაცემები, როგორც იტყვიან, ხელისგულზე ძევს. ისიც უნდა ითქვას: ამგვარი დამოკიდებულება სტიმულია არა მხოლოდ თვით ნორჩი სპორტსმენებისა და მათი მწვრთნელებისთვის, არამედ იმ სპორტული ხაზოგადოებისა თუ რეგიონისთვისაც, რომლის წარმომადგენელიც პერსპექტიული მოზარდია. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არიან სპორტის მუშაკები, რომლებიც დაუმსახურებლად ან ნაკლები დამსახურებით ცდილობენ მოიხვეჭონ ავტორიტეტი, თავი გამოიჩინონ თავიანთი წარმომადგენლების სიებში მოხვედრით. ვერ ვიტყვით, რომ სპორტით და სპორტსმენით თავმოწონება ვინმეს საძრახისად ჩაეთვლება, ოღონდ, ობიექტურობამ არ უნდა გვიღალატოს. ამას შემთხვევით არ ვამბობთ. აქაოდა, პერსპექტიულ სპორტსმენთა სიებით თავის გამოჩენის შესაძლებლობა ხელიდან არ გავუშვათო, ნაჩქარევად, მწვრთნელების, თუ შესაძლებელია, მშობელთა და პროტექტორთა გავლენითაც, სპორტსაზოგადოებები და უწყებები, სპორტკომიტეტები თავიანთ კანდიდატებს გვთავაზობენ (სხვაზე რაღა ვთქვათ, როცა თხოვნა აჭარის სპორტსახკომიდანაც მივიღეთ). პირდაპირ ვიტყვით, ასეთი წარდგინებები მეტწილად ღიმილს იწვევს და კანდიდატთა წარმომდგენი ადგილობრივი ხელმძღვანელების კომპეტენტურობაზე სულაც არ მეტყველებს. „გთხოვთ შეიტანოთ სიაში...“ მოდის და მოდის თხოვნები, განცხადებები, ოფიციალური თუ არაოფიციალური წერილები. გვინდა ყველამ იცოდეს: პერსპექტიულ სპორტსმენთა სიების გაუფახურება და გაყალბება, არანაირი თხოვნითა და არავითარ შემთხვევაში არ მოხდება. ამიტომ მეტი დაფიქრება გვმართებს, ვიდრე კალამს ავიღებთ და ხელს მოვაწერთ დოკუმენტს, რომელიც ჩვეულებრივ ასე იწყება „გთხოვთ, შეიტანოთ სიაში..“

## ვახტანგ იაგორაშვილი — გამარჯვებული!

დასავლეთ გერმანიის ქალაქ ვარენდორფში გამართულ თანამედროვე ხუთჭიდელთა დიდ საერთაშორისო ტურნირში წარმატებით გამოვიდა თბილისელი ვახტანგ იაგორაშვილი. ქართველი სპორტსმენი თავიდანვე ლიდერთა შორის იყო. ოთხი სახეობის შემდეგ კი 4352 ქულით წინ გაიჭრა. მის „მდევრებს“ — უნგრელ ატილა მიხცერს და იტალიელ ბრუნო ჯენარდს შესაბამისად 4.240 და 4.178 ქულა ჰქონდათ.



ვახტანგმა ბოლო სახეობაშიც — მძლეოსნობაში არავის დაუდო ტოლი და პირველობა მოიპოვა, რითაც დიდი წვლილი შეიტანა საბჭოთა გუნდის გამარჯვებაში.

ცხადდება კონკურსი

## საუკეთესო სპორტული ბაზა, სპორტის მოყვარულთა საუკეთესო კლუბი

აბა წარმოიდგინეთ, სპორტული ასპარეზობის გარეშე რა უინტერესო იქნებოდა ადამიანთა ურთიერთობა და, საერთოდ, ცხოვრება. სპორტის გავლენის მასშტაბის განუზომელმა ზრდამ იგი საკაცობრიო ფენომენად აქცია სრულიად განსხვავებული სოციალურ-ხაზოგადოებრივი ფორმაციისა და რწმენის ადამიანებისთვისაც კი.

სპორტს ყველასთვის ერთნაირად მოაქვს სიხარული. წრთობისა და ჯანმრთელობის გაკაუჩის გზის გარდა სპორტი და სპორტული სანახაობა ადამიანებისთვის გართობის, მეგობრებთან და ოჯახთან ერთად დასვენების შესანიშნავი საშუალებაც არის. ამიტომ ძალზე მნიშვნელოვანია, რომ სპორტულ-სანახაობრივ ღონისძიებებზე იყოს სრული წესრიგი და სიმყუდროვე, ჯანსაღი აჟიოტაჟი.

ბოლო ხანს ბევრი რამ გაკეთდა და კეთდება როგორც სპორტულ-სანახაობრივ ღონისძიებათა ავტორიტეტის ამაღლებისათვის, ისე შეჯიბრებებზე წესრიგის დამყარებათა წინააღმდეგ საბრძოლველად. წლეულს დარღვევები ბევრად უფრო იშვიათია, თუნდაც იმავე საფეხბურთო მატჩებზე, შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით.

„ლელოს“ რედაქციამ გადაწყვიტა გამოაცხადოს კონკურსი იმ საუკეთესო სპორტული ბაზების გამოსავლენად, რომლებიც მასპინძლობენ 1988 წლის რესპუბლიკურ და საკავშირო ასპარეზობათა კალენდარულ მატჩებს. ცხადდება კონკურსი აგრეთვე რესპუბლიკაში სპორტის მოყვარულთა საუკეთესო კლუბის გამოსავლენად. გამარჯვებული სპორტული ბაზები გამოვლინდება ცალკე რესპუბლიკური და ცალკე საკავშირო ღონისძიებების მიხედვით (ვთქვათ, ფეხბურთში, კალათბურთში და ა. შ.). გამარჯვებულის გამოსავლენად მხედველობაში მიიღება:

1) საზოგადოებრივი წესრიგი (მაყურებლის ქცევა);

2) მასპინძელი სპორტული კოლექტივის დისციპლინა;

3) სპორტული ასპარეზობების დაწყებამდე და შესვენებისას ფიზკულტურული და სპორტულ-ფულტურული პროგრამის შინაარსი და ეფექტიანობა.

შენიშვნა: გუნდი ან მაყურებელი, რომელიც სტუმრად დაარღვევს წესრიგს, საჯარიმო ქულებს მოუტანს იმ სპორტულ სარბიელს, რომელზედაც ეს გუნდი შეხვედრებს შინ ატარებს.

სპორტის მოყვარულთა საუკეთესო კლუბის გამოვლენისას ძირითადად მხედველობაში მიიღება ის, თუ რამდენად ასრულებს კლუბი სსრ კავშირის სპორტსახკომის მიერ დამტკიცებულ შესაბამის დებულებას.

1988 წლის შედეგების მიხედვით გამარჯვებული სპორტული ბაზები და სპორტის მოყვარულთა კლუბი დაჯილდოვდებიან „ლელოს“ საგანგებო პრიზებითა და დიპლომებით.

## ნაბიჯი სეულისაკენ

„ახალი წყვილი საიმედო ოლიმპიური პერსპექტივით“ — ასეთი შეფასება დაიმსახურეს ქართველმა ნინიმასანმა კახა ლომიშვილმა და მისმა ბელორუსელმა მეწყვილემ ალექსანდრე მიზგინმა ამასწინათ გალში გამართულ მობაიდარეთა საკავშირო თასის გათამაშებაში, სადაც მათ 1000-მეტრიან დისტანციაზე გაიმარჯვეს.

გავიდა რამდენიმე დღე და აი, ახალი ცნობა: დამთავრდა მოსკოვის თასის ღია გათამაშება საბაიდარო ნიჩბოსნობაში, სადაც ორადგილიანი ბაიდარით მოასპარეზე ლომიშვილ—მიზგინის წყვილმა გაიმარჯვა ოლიმპიურ დისტანციებზე — 500 და 1000 მეტრზე რბოლებში. ამ გამარჯვებით მათ კიდევ უფრო განიმტკიცეს პერსპექტიული „ოლიმპიური დუეტის“ ავტორიტეტი და კვლავ სეულში გამგზავრების ყველაზე რეალურ კანდიდატებად ითვლებიან.

მარათონულ დისტანციაზე, 10000 მეტრზე ერთადგილიანი ნავებით რბოლაში კახა ლომიშვილმა III საპრიზო ადგილი დაიკავა.

**გუსიკ საბაძე.**
(მოსკოვი, ტელეფონით).



## ესროდ სტატისტიკა

**1987 წელს ფეხბურთში საქართველოს პირველობაზე პირველ ექვს ტურში გაეგზავნილ 55 დამოედნიდან გაეძევეს სამი ფეხბურთელი. 1988 წლის შესანიშნავ პერიოდში (დღემდე) გაგზავნილებულია 26 ფეხბურთელი, მოედნიდან კი არავინ გაუძევებიათ.**

## საფუძველი განვუმტკიცოთ

ფიზკულტურის ინსტიტუტში სტუდენტებთან და პროფესორ-მასწავლებლებთან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ჯუმბერ პატიაშვილის შეხვედრისას ისიც ითქვა, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სპორტის ეროვნული სახეობებისა და ხალხური თამაშების შემდგომ მასობრივობას.

მაქვს რამდენიმე კონკრეტული მოსაზრება.

ქართული ჭიდაობა ჩვენი ფალავნებისთვის საწყისთა საწყისია. ყოველ შემთხვევაში, ასე უნდა იყოს. ქართული ჭიდაობის ანბანის გაცნობის შემდეგ უნდა ვაზიაროთ ახალგაზრდები თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობას, ძიუდოს თუ სამბოს, მაგრამ ხდება პირიქით. ქართულ ჭიდაობაში ძირითადად გამოდიან ძიუდოისტები და სამბისტები, ზოგჯერ — თავისუფალი სტილის მოჭიდავეები. ზრდადასრულებული ფალავნები აქ ცდილობენ ქართული ჭიდაობის ილეთების — გარეკაურის, შუაკაურის, ცერულის, მოგვერდის, კისრულის, ბრუნის, ღოჯურის, ზეზელა კისრულის შესწავლას.

ამიტომ ვფიქრობ, რომ უნდა გაიხსნას ქართული ჭიდაობის სპორტული სკოლები, სექციები, ფიზკულტურის ინსტიტუტში სპეციალური განყოფილება, გამოიცეს ლიტერატურა. ჯგუფები უნდა გაიხსნას სპორტულ სკოლა-ინტერნატებშიც. ერთი სიტყვით, საფუძველი უნდა განვუმტკიცოთ ქართულ ჭიდაობას.

ჩვენი ფალავნების წარმატებები ეროვნული ჭიდაობის ნიადაგზე აღმოცენდა და ამ სახეობის სწავლება, ბავშვობაში მაინც, ყველა მოჭიდავისთვის აუცილებელია.

**რობინზონ ნუსხელაძე,**
**ქართული ჭიდაობის ენციკლოპედისტი, სპორტის ოსტატი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

### რეზონანსი

**თბილისის ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა პირველი რესპუბლიკური ჩემპიონატი „სწრაფ ჭადრაკში“ (30-30 წუთიანი შეხვედრები).**

**შეჯიბრებაში, რომელიც შვეიცარიული სისტემით 9 ტურად ჩატარდა, მონაწილეობდა 40 მოჭადრაკე.**

**8. ქულით I ადგილი და ჩემპიონის სახელი მოიპოვა საერთაშორისო ოსტატმა ზურაბ აზმაიფარაშვილმა. II ადგილზე გავიდა საერთაშორისო დიდოსტატი ვენადი ზაიჩიკი — 7,5. III-IV ადგილები 6,5-6,5 ქულით გაიყვეს ოსტატმა ალექსანდრე ბოკუჩავამ და ოსტატობის კანდიდატმა ზაზა ბოფერიამ.**

**დაწვრილებით ამ ტურნირის შესახებ „ლელოს“ უახლოეს ნომერში მოგითხრობთ.**

ქართული სპორტის ლიდერები

# გიორგი ჩოგოვაძის ოლიმპიური ოცნება

**შარშან დაწყებულ გამარჯვებათა სერია წლევანდელ სეზონშიც განაგრძო 19 წლის წყალში მხტომელმა გიორგი ჩოგოვაძემ. მარტში თბილისელმა სპორტსმენმა გაიმარჯვა როსტოკში გამართულ დიდ საერთაშორისო ტურნირში, აპრილში კი უძლიერესი იყო ევროპის თასის გათამაშებაში, რომელიც ედინბურგში მოეწყო. ამ წარმატებებით ჩოგოვაძემ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ იგი საბჭოთა სპორტსმენთა შორის ლიდერია. შანხიც მნიშვნელოვნად განიმტკიცა, რათა სსრ კავშირის ოლიმპიურ ნაკრებში მოხვდეს. ყველა მიღწევა მან კოშკიდან ხტომაში მოიპოვა.**



— ილუზიებს არასდროს არ ავყოლივარ, — თქვა გიორგიმ. — მაგრამ ახლა განსაკუთრებული შემთხვევაა. არ ვმალავ ჩემს ოცნებას — მოვხვდე ოლიმპიადაზე.

ამისათვის სპორტსმენი ძალ-ღონესა და დროს არ იშურებს. იგი აუზში დღეში ორჯერ მიდის და ექვს-შვიდ საათს ვარჯიშობს.

— ჩემთვის სპორტი უკვე დიდი ხანია რაც მხოლოდ გართობა არაა, — თქვა მან. — ეს არის მძიმე, მომქანცველი შრომა, კარგად თუ არ გაქვს ეს შეგნებული, სპორტული მწვერვალების დაპყრობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია.

სულ სხვაგვარად ფიქრობდა ოდესლაც ექვსი წლის ცელქი ბიჭუნა, რომელიც მწვრთნელ კონსტანტინე იადრიშნიკოვის ჯგუფში ჩარიცხეს. პირველ წლებში წყალში ხტომა მისთვის გართობა იყო, რაც ბევრ საზრუნავს უქმნიდა მწვრთნელს. მაგრამ დროთა განმავლობაში სპორტის მაგიურმა ძალამ ჭაბუკი გამგონი გახადა, რაც ყველაზე მეტად მის დედას გაუხარდა (გიორგის მამა ადრე გარდაეცვალა). ბიჭი გახდა უფრო გულმოდგინე, დისციპლინირული, მკაცრად იცავდა რეჟიმს, სპორტმა კი გამოუმუშავა პასუხისმგებლობისა და კოლექტივიზმის გრძნობა. მის ცხოვრებაში გარდამტეხი 1978 წელი გახდა, მაშინ რესპუბლიკის „მოზრდილთა“ ჩემპიონატზე გიორგიმ მესამე ადგილი დაიკავა.

წყალში ხტომამ საბოლოოდ გაიტაცა ყმაწვილი. მთელი მონდომებით დაიწყო ვარჯიში. გულმოდგინებასა და მიზანდასახულობას თავისი შედეგები მოჰქონდა. 1981 წელს გიორგი ჩოგოვაძემ პირველ მნიშვნელოვან წამატებას მიაღწია — მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე გაიმარჯვა და ქვეყნის ნაკრები გუნდის მწვრთნელთა ყურადღება მიიპყრო.

ერთი წლის შემდეგ მოხდა კიდევ მოვლენა, რომელმაც, როგორც თვით სპორტსმენი თვლის, არსებითი გავლენა მოახდინა მის შემდგომ ცხოვრებაზე. ჩოგოვაძე განაგრძობდა ვარჯიშს მთელ მსოფლიოში ცნობილ სპეციალისტთან იური გუტიაკულოვთან, რომელმაც აღზარდა მრავალი პირველი კლასის წყალში მხტომელი, მათ შორის — 1980 წლის ოლიმპიური ასპარეზობის ბრინჯაოს პრიზიორი ლიანა ცოტაძე, ქვეყნის არაერთგზის ჩემპიონი და სსრ კავშირის თასის მფლობელი სერგო შალიბაშვილი.

— გუტიაკულოვთან საერთო ენის გამონახვა თავიდან გამიჭირდა, — იხსენებს გიორგი, — ხშირად იყო კონფლიქტები. მაგრამ მომთმენმა მწვრთნელმა სურვილი აღმიძრა სხვა თვალით შემეხედა ყველაფრისათვის, შემეცვალა დამოკიდებულება სპორტისა და საერთოდ ცხოვრებისადმი. ახლა ჩვენ კარგად ვუგებთ ერთმანეთს. გუტიაკულოვს იშვიათი თვისებები აქვს — იგი მზრუნველი და კეთილია თავისი ყველა მოწაფის მიმართ, მაგრამ შეღავათს არავის არ უწევს. მას შეუძლია დროულად შეამჩნიოს აღსაზრდელის განწყობილების შეცვლა, იპოვოს საჭირო სიტყვები, გაამხნევოს იგი. მისი დამოკიდებულება საქმისა და ადამიანებისადმი ჩვენს ჯგუფში ქმნის განსაკუთრებულ მიკროკლიმატს, რომელიც სრულ ურთიერთგაგებასა და ნდობას ეფუძნება.

გამოცდილი სპეციალისტის წყალობით გიორგი ჩოგოვაძის შესაძლებლობანი თანდათანობით გამოვლინდა. იგი დავაჟკაცდა, მოღონიერდა, დაოსტატდა. შემდეგ იყო ახალი გამარჯვებები საკავშირო და საერთაშორისო ასპარეზზე. სპორტსმენი განსაკუთრებით წარმატებით გამოდიოდა კოშკიდან ხტომაში. ახლა კოშკი მისი მთავარი იარაღია.

სპეციალისტები, როცა ლაპარაკობენ ქართველი სპორტსმენის ღირსებაზე, აღნიშნავენ არა მარტო ნახტომის შესრულების თავისებურ სტილს, არამედ მის დიდ სირთულესაც. ნახტომი, როგორც წესი, ხაზს უსვამს სპორტსმენის თვისებებს, მის უნარს მოიკრიბოს მთელი ძალ-ღონე. ამის წყალობით ჩოგოვაძემ მიაღწია დიდ სტაბილურობას, — შეძლო მიახლოებოდა მსოფლიო „ელიტას“.

შარშან, ბოლოს და ბოლოს სრულად გამოჩნდა გიორგის შესაძლებლობები. ყველა ასპარეზობაში, სადაც კი იგი გამოვიდა, ყოველთვის ლაურეატი შორის იყო. გაშარჯვება ქვეყნის ზამთრის ჩემპიონატსა და დიდ საერთაშორისო ტურნირში „გაზაფხულის მერცხლები“. შემდეგ მესამე ადგილი მოიპოვა ბელგრადში გამართულ მსოფლიო უნივერსიადაზე. მეორე ადგილზე გავიდა ქვეყნის ზაფხულის ჩემპიონატსა და მსოფლიო თასის გათამაშებაზე ჰოლანდიაში. და ბოლოს, წელიწადი სტრასბურგში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე ბრწყინვალე გამარჯვებით დაგვირგვინა.

განსაკუთრებით დაგვამახსოვრდა მისი გამოსვლა საფრანგეთში. ფინალურ სერიაში მხარი დაუჭადა. — ექიმს ბევრმა შრომამ მოუწია. შესასრულებელი იყო კიდევ ორი ნახტომი. იური გუტიაკულოვი დროულად აღმოჩნდა ჩემს გვერდით, — იხსენებს გიორგი. — ვგრძნობ მწვავე ტკივილს და უცებ მესმის მისი სიტყვები: „ჯმარა მეორე და მესამე ადგილების დაკავება. შენ ხომ ასე ელოდი ამ მომენტს...“

ჩოგოვაძის მეცხრე და მეათე ნახტომები „ოქროსი“ აღმოჩნდა. — ყოველივე ეს ახლა მხოლოდ მოგონებაა, — თქვა გიორგიმ. — ძველი გამარჯვებებით ვერ დაიმკვიდრებ ნაკრებში ადგილს. ბევრი შრომაა საჭირო, რომ არ დაკარგო ოლიმპიური გუნდის წევრობის უფლება.

**შ. შალოლაშვილი.**
**(საქინფორმის კორ.).**

---

სპორტის უჩინარი მსახური

# მწვანე გაზონის ქურუმი



ეს რუბრიკა — სპორტის უჩინარი მსახური, ალბათ ყველაზე უფრო ჩვენს თანამემამულეს, მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის საფეხბურთო მინდვრების მთავარ სპეციალისტ გივი აბრამიშვილს მიესადაგება, რადგან მწვანე-გაზონიან საფარზე, რომელსაც იგი თავს დასტრიალებს, ბევრად არის დამოკიდებული სპორტსმენთა წარმატება.

ახლა მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში სპეციალურად იკვლევენ გაზონის გამძლეობის გაზრდის შესაძლებლობებს, ამუშავებენ პროგრესულ მეთოდებს, რისთვისაც იყენებენ ფოროვან და სხვადასხვა ნივთიერებებს.

რა სახის მინდორს არ მოსწრებია ფეხბურთის გულშემატკივარი: ზურმუხტოვანს, თვალს რომ სიამოვნებს, თუმცა, ასეთები ძალზე ცოტაა, უფრო ხშირად გახუნებული, აქა-იქ მეჩხერად რომ შემორჩენია ბალახი, ისეთი გვხვდება. მაინც რას წარმოადგენს საფეხბურთო მინდორი? აი, რას ამბობს ამის თაობაზე გ. აბრამიშვილი: — იგი მარტო მწვანე ბალახით აბიბინებული მოედანი არ გახლავთ. აქ არის სადრენაჟო სისტემა და ქვიშა — განსხვავებული ფენებისა და სხვადასხვა მასალებისაგან, სასუქის და მიწის ნარევისაგან. მთელი ეს მრავალსართულიანი კონსტრუქცია, 45 სანტიმეტრი სიმაღლისაა.

მინდორი გარკვეულ მოთხოვნებსაც უნდა პასუხობდეს. თუ სპეციალისტებმა წინასწარი ზომები არ მიიღეს, გრუნტი გაფხვიერდება და საკმარისია ოდნავ წამოწვიმოს, რომ მოასპარეზეს ფეხქვეშ მიწა გამოეცლება, ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე კი ბღუჯა-ბღუჯა ბალახი აჰყვება ბუცებზე. გარდა ამისა, იდეალურად ითვლება ის მოედანი, რომლის თითოეული კვადრატული სანტიმეტრი 18-20 კგ წნევას გაუძლებს. ასეთ მინდორზე სასიამოვნოა თამაში. მინდვრის შენახვა თავისებური ტექნოლოგიით ხდება. თუ მინდორი არ დავზოგეთ და დილიდან საღამომდე მასზე დაუნდობლად ვაგორავეთ ბურთი, ასეთი მინდორი ორ-სამ წელიწადში ძნელად საცნობილა გახდება და მწყობრიდან გამოვა. დიახ, მინდორსაც დასვენება უნდა.

ხშირად უთქვამთ, რომ ჩვენი ქვეყნის ზოგიერთ რეგიონებში შეუძლებელია იქონიონ კარგი მინდორი. ეს მე არ მჯერა, რადგან მინდვრები გამოშენებია ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში — მოსკოვში, თბილისში, ერევანში, სოხუმში, ქერჩში, სიმფეროპოლში, ვორკუტაშიც კი. ამ ქალაქებში სხვადასხვა კლიმატური ზონებია. თითოეულ მათგანს თავისებურად უნდა მიუდგე. მაგალითად, მოსკოვის მოედნებმა წვიმებს უნდა გაუძლოს და ადრეულ გაზაფხულზე აბიბინდეს ბალახი. ვორკუტაში მთავარი პრობლემაა გაუყინავი ნიადაგი შეიქმნას, სიმფეროპოლში მორწყვის სწორი რეჟიმია საჭირო. კამჩატკაზე, მაგალითად, ნიადაგში დამატებით კომპონენტად შევიტანე ვულკანური წარმოშობის ფერფლი, თბილისში... ჭაჭა.

ერთი სიტყვით, კარგი საფეხბურთო მინდვრის გაშენებას სპეციალისტის ხელი და გამოცდილება სჭირდება. სასხვათაშორისოდ ჩვეულებრივ კოინდარსაც ვერ გაახარებ.

...სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატმა, სსრ კავშირის სპორტსახკომის „სოიუზსპორტპროექტის“ მთავარმა სპეციალისტმა გივი აბრამიშვილმა ბორჯომის რაიონის სოფელ ახალდაბაში გაატარა ბავშვობა. და, რა თქმა უნდა, პატარაობისას გატაცებით თამაშობდა ფეხბურთს. შემდეგ გამოდიოდა საქარხნო გუნდში. მისგან დიდი ფეხბურთელი არ დამდგარა, მაგრამ კარგი მინდვრის ფასი, როგორც მოთამაშემ, იმთავითვე იცოდა. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ დეკორატიული მებაღეობის განხრით ჩაირიცხა ასპირანტურაში. მერე სპორტული გაზონების მოვლა-გაშენება დაისახა მიზნად.

...უკვე 30 წელზე მეტია, რაც გ. აბრამიშვილი საფეხბურთო მინდვრების მთავარ სპეციალისტად მუშაობს და სსრ კავშირში თითქმის არ არის საფეხბურთო მინდორი, რომლის გაშენებასა და შეკეთებაში მისი ხელი არ ერიოს. ერთ-ერთი ბოლო „პირშო“ ლანჩხუთის „გურიის“ სტადიონის მინდორი გახლავთ. სელექციონერმა სპეციალური თესლი ჩამოიტანა და კოლხეთმშენის № 3 მოძრავ-მექანიზებული კოლონის თანაშრომლებთან ერთად აკვირდებოდა მის ამოსვლას. აქვე სულ მოკლე დროში შესრულდა მინდვრის სადრენაჟო და აგროტექნიკური სამუშაოები, რომლის დიდი ნაწილი სპეციალური მანქანების უქონლობის გამო ხელით სრულდებოდა. აბრამიშვილის რეკომენდაციების მიხედვით მაღალხარისხოვანი მინდორი გაშენდა, რომელმაც მიმღები კომისიის მაღალი შეფასება დაიმსახურა. „გურიის“ სათადარიგო მოედანი კი ერთ-ერთი საუკეთესოა მთელს კავშირში.

...ჩვეულებისამებრ ამაგდარ სპეციალისტს გ. აბრამიშვილს, რომელსაც ახლახან 60 წელი შეუსრულდა, წელიწადის ამ დროს, საფეხბურთო სეზონის დამდეგს ბევრი სამუშაო აქვს მინდვრად. გამონაკლისი არც წლევანდელი საფეხბურთო სეზონია და არც სხვა წლები იქნება.

**შუანგ ბიჭინაძე.**

* * *

**სურათზე: გივი აბრამიშვილი (დგას) ახალი საფეხბურთო სეზონისათვის ამზადებს მწვანე გაზონს.**

---

# ჯილდოები მეცნიერებს

**შეჯამდა** ფიზიკური კულტურისა და სპორტის დარგში საუკეთესო სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომების კონკურსის შედეგები.

**სსრ კავშირის სპორტსახკომმა დაადგინა:**

**მიენიჭოს ოქროს მედალი და პრემია 1000 მანეთის ოდენობით გ. გორბუნოვს,** პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატს, დოცენტს მონოგრაფიისთვის „სპორტის ფსიქოლოგია“. (ლენინგრადი).

**სსრ კავშირის სპორტსახკომის საპატიო სიგელებით დაჯილდოვდნენ:**

**ი. რატოვი** ნაშრომთა ციკლისთვის „დაგეგმილი შედეგიანობის მიღწევის მიზნით სპორტული ვარჯიშების შესასრულებლად ხელოვნურად შექმნილი პირობების გამოყენების თეორია, ტექნიკური საშუალებანი და მეთოდური ხერხები“ (მოსკოვი);

**ო. მილშტეინი** და **კ. კულინკოვიჩი** წიგნისთვის „საბჭოთა ოლიმპიელი: სოციალური პორტრეტი“ (ბელორუსია);

**ვ. ბალანდინი, ი. ბლუდოვი, ვ. პლატონეკო** წიგნისთვის „პროგნოზირება სპორტში“ (ლენინგრადი);

**ა. ნოვიკოვი, ა. აკოფიანი, გ. ხაპუნოვი** ნაშრომთა ციკლისთვის „ორთაბრძოლების სახეობებში მაღალკვალიფიციური სპორტსმენების მომზადების მართვა“ (მოსკოვი);

**სსრ კავშირის სპორტსახკომის ხიგელებით დაჯილდოვდნენ:**

**ვ. შაპოშნიკოვა** წიგნისთვის „ინდივიდუალიზაცია და პროგნოზი“ (ლენინგრადი);

**ა. პოლოსინი** და **ა. უშაკოვი** მძლეოსნობაში შედეგების შეფასების თეორიაში ნაშრომთა ციკლისთვის (სსრ კავშირის სპორტსახკომი);

**ნ. ვოლკოვი** სახელმძღვანელო წიგნის „სპორტის ბიოქიმია“ ერთი ნაწილისთვის (მოსკოვი);

**ა. ივოილოვი** წიგნისთვის „სპორტსმენის მოძრაობების მიმართ წინაღმდეგობებისადმი მდგრადობა“ (რსფსრ სპორტსახკომი);

**ე. ბონდარევსკი** და **შ. ხანკელდიევი** წიგნისთვის „მოსწავლე ახალგაზრდობის ფიზიკური მომზადება“ (მოსკოვი);

**გამოეცხადოთ მადლობა:**

**ი. გაფერდოვსკის, ლ. ანტონოვს, ტ. ლისიცკაიას, ვ. კორანბერგს, ვ. ზაგლადეს** წიგნისთვის „ტანვარჯიშული მრავალშიდი (ქალთა სახეობები)“ (ლენინგრადი);

**ვ. ეილინას** სასწავლო დამხმარე სახელმძღვანელოსთვის „სპორტსმენ-მსროლელის ვარჯიშის მეთოდიკა“ (მოსკოვის საფეიქრო ინსტიტუტი).

**სსრ კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტი**

**აცხადებს**

**კონკურსს**

**ფიზიკური კულტურისა და სპორტის დარგში საუკეთესო სამეცნიერო-კვლევით ნაშრომებზე, აღმოჩენებზე, დანერგილ ნაშრომებზე, ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლების სახსწავლო პროგრამებზე.**

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად მიიღება 1988 წლის 1 იანვრამდე გამოქვეყნებული ნაშრომები. პრემიის მისანიჭებლად კანდიდატთა წარდგენის უფლება ეძლევათ სამეცნიერო, უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებს, სსრ კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის სამმართველოებსა და დამოუკიდებელ განყოფილებებს, აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტებს.

კოლექტიური ნაშრომების წამოყენებისას დასახელებული უნდა იყვნენ წამყვანი ავტორები, მაგრამ არა უმეტეს ხუთისა. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად სამეცნიერო-მეთოდური მუშაობისა და სასწავლო დაწესებულებების მთავარი სამმართველოში აუცილებელია გაიგზავნოს შემდეგი საბუთები:

1. ნაშრომის სამეცნიერო დახასიათების შემცველი მოტივირებული წარდგენა;

2. გამოქვეყნებული ნაშრომი (ნაშრომთა სერია), სამეცნიერო აღმოჩენის მასალები, ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლების სასწავლო პროგრამები სამ ცალად (მასალები უკან არ ბრუნდება);

3. ავტორის მონაცემები (გვარი, სახელი, მამის სახელი მთლიანად, სამუშაო ადგილი, დაკავებული თანამდებობა, სამეცნიერო ნაშრომთა სია, ბინის მისამართი).

ნაშრომების წარმოდგენის ვადაა ერთი თვე განცხადების გამოქვეყნების დღიდან (განსაზღვრება გაგზავნის შტამპის მიხედვით).

ნაშრომები უნდა გაიგზავნოს მისამართით: **119871, მოსკოვი, ლუჟნეცკის სანაპირო, 8,** სსრ კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტი, სამეცნიერო-მეთოდური მუშაობისა და სასწავლო დაწესებულებების მთავარი სამმართველო (აღნიშვნით „კონკურსისთვის“).

# საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

## უმაღლესი ლიგა

**„დინამო“ (თბილისი) — „შახტიორი“ (დონეცკი) 2:0 (1:0).**
**თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი. 30 აპრილი.**

**„დინამო“:** **გაბელია, კეტაშვილი, თევზაძე, ჭედია, არზიანი, ტყებუჩავა, ცვიბა (კორღალიძე, 65), სულაქველიძე, ვ. ჯიშკარიანი (შენგელია, 60), გურული, გ. ჯიშკარიანი.**

**„შახტიორი“:** **შიპოვსკი, დრაგუნოვი, სოპკო, ლეონოვი (გოშკოდერია, 71), ევხეევი, სვისტუნი (გერახმეცი, 46), იაშჩენკო, იურჩენკო, პეტროვი, სმოლიანინოვი, კობოზევი.**

**მსაჯი ა. კირილოვი (მოსკოვი).**

ახლა, როცა განვლილია საკავშირო ჩემპიონატის მერვე ტურის შეხვედრები, ზოგიერთი გულშემატკივარი დაუფარავად გვსაყვედურობს მიმომხილველებსაც და სპეციალისტებსაც, რომ წლევანდელ ჩემპიონატში ნაადრევად და უსაფუძვლოდ შევუდექით თბილისის დინამოელთა ქებას, ავანსად გავეცით კომპლიმენტები. მაშინ, როცა ჩვენი გუნდი ადრინდებულად კვლავ სუსტად თამაშობს, მის ოფიციალურ მატჩებში არავითარი პროგრესი არ იგრძნობა, ხოლო რაც შეეხება დინამოელთა გამოსვლებს მეტოქეთა მინდვრებზე, აქ, საერთოდ, ძალზე ცუდადაა საქმე. საკმარისია ჩვენმა გუნდმა დატოვოს თავისი სტადიონი და გულშემატკივარი, რომ დამარცხება მას გარანტირებული აქვს.

მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს მთლად ასე არაა. პროგრესი შარშანდელთან შედარებით აშკარად იგრძნობა. თბილისის „დინამოს“ კოლექტივი 1987 წლის სეზონის დასაწყისთან შედარებით გაცილებით უფრო მობილიზებულად, ენერგიულად და მობილურად თამაშობს. საქმე მარტო ის არაა, რომ შინ ჩატარებული ორი მატჩის შემდეგ თბილისის „დინამო“ სათავეში ედგა ჩემპიონატის სატურნირო ცხრილს და მაშინ, ელემენტარულად, უფლება არა გვქონდა გვეთქვა გუნდი კვლავინდებურად ფსკერზე იმყოფებოდა. უბრალოდ, საფეხბურთო ლოგიკა გვკარნახობდა ჩვენს გუნდში მომხდარ სასიკეთო ძვრებზე, რომელთა დაუნახაობა და მიმალვა არ შეიძლებოდა. დინამოელები შარშანდელთან შედარებით გაცილებით უკეთ გამოიყურებოდნენ ფიზიკური და ფსიქოლოგიური მომზადების თვალსაზრისით, ეს უკვე აღარ იყო ის უნებისყოფო გუნდი, რომელიც პირველივე წუთებიდან უბრძოლველად უთმობდა სარბიელს მეტოქეს და აშკარად განწირული იყო წაგებისთვის. მთელი შემართებით, თავგამოდებით იბრძოდნენ ვეტერანებიც და ის ახალგაზრდებიც, რომლებსაც ახლოდან რომ დააკვირდებით, მხოლოდ სიჭაბუკის პირველ ღინღლს თუ შეამჩნევთ სახეზე.

მაგრამ ამ ორი ტურის შემდეგაც ცხადი იყო, რომ ტაქტიკური და ტექნიკური მომზადების თვალსაზრისით დინამოელები მაინც შორს იყვნენ მათთვის შესაფერისი ტრადიციული კონდიციებისგან და ჯერ კიდევ ბევრი, ძალზე ბევრი მუშაობა მართებდათ საერთო სპორტული ოსტატობის ასამაღლებლად. გუნდი ლიდერი იყო, სალიდერო თამაშისთვის კი ვერ მიეღწია. ამაში თბილისის „დინამოს“ კრიტიკოსები ნამდვილად მართალნი არიან.

ის, რაც შემდგომ ტურებში მოხდა, ყველამ კარგად იცის, ნაკლოვანებებმა ცხადად იჩინა თავი, სტუმრად ჩატარებული მატჩები წაგავგეთ, მერე ამას შინ დამარცხებაც დაემატა, როგორც სჩანს, მრავალწლიანი, ღრმა კრიზისიდან თავის დაღწევა ასე იოლად, ხელის ერთი მოქნევით არ ხდება. მდგომარეობის გამოსწორებას დიდი დრო სჭირდება და თბილისის „დინამოს“ მოზრეებმაც თავიანთი პრეტენზიები და სურვილები რეალურად უნდა შეუფარდონ გუნდის პრაქტიკულ შესაძლებლობებს.

აი, მაგალითად, 30 აპრილს საკმაოდ სოლიდური ანგარიშით დავამარცხეთ დონეცკის „შახტიორი“, დინამოელთა უპირატესობა აშკარა იყო, მაგრამ ვინ იტყვის, რომ ეს გამარჯვება თბილისის „დინამოს“ სრულ აღორძინებას ნიშნავს? გავიმარჯვეთ, რასაც დიდი შრომა და ენერგია დასჭირდა, ტექნიკური და ტაქტიკური პრობლემები ჩვენი გუნდის წინაშე კვლავ და კვლავ მთელი სიცხადით დგას, ისევ უფერულად და უუნაროდ მოქმედებდა ნახევარდაცვა, კვლავ შეცდომები ჰქონდათ მცველებს, მეტოქის კარის იერიშის დროს კი წინა ხაზზე თითო-ოროლა თავდამსხმელი თუ მონაწილეობდა, შეტევას აკლდა სწრაფი, მოულოდნელი ხასიათი, როცა გოლის გატანის რთულ და შრომატევად საქმეში მრავალი მოიერიშე ფეხბურთელი უნდა მონაწილეობდეს.

დონეცკის „შახტიორი“ უმაღლესი ლიგის ერთ-ერთი უძველესი ბინადარია, მის შემადგენლობაში სხვადასხვა დროს ძლიერ ფეხბურთელებს თამაშობდნენ, მაგრამ ეს გუნდი უმეტესად გამოირჩეოდა შესაშური ნებისყოფით, კოლექტიური მონოლითურობით, უდიდესი ბრძოლისუნარიანობით: „„შახტიორთან“ გამარჯვება მუდამ უაღრესად ძნელი იყო ყველასათვის, აბჯერად კი დონეცკელთა გუნდი ძალზე უფერულად, შეუთამაშებლად და ზოგ შემთხვევაში უსუსურადაც კი გამოიყურებოდა. ასეთი სუსტი „შახტიორი“, გვგონია, არც გვინახავს. აშკარად სუსტად ითამაშეს ლეონოვმა, სვისტუნმა, პეტროვმა, სმოლიანინოვმა, ევხეევმა და სხვებმა, ასე რომ, უკეთესი ანგარიშითაც შეგვეძლო გაგვემარჯვა.

სწორედ მეტოქის სისუსტის ფონზე კარგად ჩანდა, რომ თბილისის „დინამოში“ აშკარად დაბალ დონეზე დგას პასის კულტურა, სადაც გადაცემა უკიდურესად ზუსტი და გამოზომილი უნდა იყოს, ჩვენი ფეხბურთელები უყურადღებობას და უზუსტობას იჩენენ, ბურთი უმეტესად მეტოქის მისამართით იგზავნება. ამიტომაცაა, რომ ზოგიერთები, განსაკუთრებით ახალგაზრდები, გადაცემას ინდივიდუალურ გარღვევებსა და დრიბლინგს არჩევენ და როცა გუნდი მთელ თამაშს უმთავრესად დრიბლინგზე და გარღვევებზე წარმართავს, ეს მოთამაშეთა არასათანადო კვალიფიკაციაზე მეტყველებს.

დინამოელებს კარში დარტყმის რამდენიმე კარგი შესაძლებლობა მიეცათ. ეს იყო საუკეთესო საგოლე მომენტები, მაგრამ გადამწყვეტი დარტყმები ძალზე არაზუსტი, ნაჩქარევი იყო, ესეც ჩვენი გუნდის პასივად უნდა მივიჩნიოთ.

თბილისის „დინამოს“ ამ მატჩში საკმარისი უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ დროდადრო დონეცკელებიც ახორციელებდნენ კონტრიერიშებს. ასეთ სიტუაციებში, ვიმეორებთ, დინამოელთა მცველებისა და ნახევარმცველების დაცვითი მანევრები მთლად უნაკლო არ იყო.

ასეა თუ ისე, თამაში მოვიგეთ (ბურთები გაიტანეს გურულმა — პენალტით და შენგელიამ). ჩემპიონატის ამ ეტაპზე დიდად საჭიროა ინიციციების გამაგრება გათამაშების ცხრილში და ამ ამოცანის შესასრულებლად თბილისის „დინამომ“ არაფერი არ დაიშურა დონეცკის „შახტიორთან“, ვფიქრობთ, იგი მაქსიმალური მონდომებით იბრძოლებს დღესაც „შახტიორზე“ გაცილებით უფრო ცნელ და ძლიერ მეტოქესთან დნეპროპეტროვსკის „დნეპრთან“. „დნეპრი“ ჩვენი უახლოესი მეზობელია სატურნირო ცხრილში, მასთან გამარჯვება ჩვენს გუნდს კარგ სატურნირო პერსპექტივას შეუქმნის.

**„ლელოს“ ფეხბურთის განყოფილება.**

• • •

# დუბლიორთა მატჩი

**გუშინ** თბილისის „დინამოს“ სტადიონზე შედგა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მატჩი, ადგილობრივმა „დინამომ“ მიიღო დნეპროპეტროვსკის „დნეპრი“.

თამაში დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით — 1:0. ბურთი ზ. რევიშვილმა გაიტანა.

დინამოელთა შემადგენლობა: მიქაძე, თეთრაძე, თარბა, ცხადაძე, ფირცხალავა, რევიშვილი, აფციაური, გუბაზი, მინაშვილი (ხუროძე), ნემსაძე (მაქაცარია), ყველაშვილი (პეტრიაშვილი).

# სსრ კავშირის ერთგული ბიბლიოთეკა

**2 მაისს** შედგა ფეხბურთში სსრ კავშირის 1988-1989 წლების გათამაშების საოცდამეოთხედფინალური მატჩები.

ლანჩხუთის „გურიამ“ წარმატებით ითამაშა ყაზანში, სადაც ანგარიშით 3:1 მოუგო ადგილობრივ „რუბინს“. ბათუმის დინამოელები სვერდლოვსკში დამარცხდნენ „ურალმაშთან“ შეხვედრაში — 0:3.

ქუთაისის „ტორპედომ“ შინ ანგარიშით 2:1 მოუგო ვოლგოგრადის „როტორს“, თბილისის „შევარდენმა“, აგრეთვე შინ, დაამარცხა აბოვიანის „კოტაიკი“ — 1:0, ხოლო ფოთის „კოლხეთმა“ თავის მინდორზე მოუგო ორჯონიკიძის „სპარტაკს“ — 2:1. სამტრედიის „ლოკომოტივისა“ და სოხუმის „დინამოს“ მატჩი, რომელიც სამტრედიაში შედგა, დამთავრდა სამტრედიელთა გამარჯვებით — 1:0.

თასის გათამაშების პირველი ეტაპის სხვა შეხვედრათა შედეგები ასეთია: „ნივა“ (ტერნოპოლი) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) 1:0, „ოკეანე“ (ქერჩი) — „ტავრია“ (სიმფეროპოლი) 1:0 (დამატებით დროში), ასკ (ოდესა) — „კოლოსი“ (ნიკოპოლი) 0:2, „პოდოლიე“ (ხმელნიცკი) — „ატლანტასი“ (კლაიპედა) 4:0, „დინამო“ (ბრესტი) — ასკ „კარპატი“ (ლვოვი) 0:0, (5:6 დამატებითი პენალტებით), „ბალტიკა“ (კალინინგრადი) — „პრიკარპატიე“ (ივანო-ფრანკოვსკი) 1:0, „ბუკოვინა“ (ჩერნოვცი) — „დაუგავა“ (რიგა) 1:1 (დამატებითი პენალტებით 7:6), „ნისტრუ“ (კიშინიოვი) — „ნეფტიანიკი“ (ახტირკა) 2:1, „ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო) — ასკ (დონის როსტოვი) 1:1 (დამატებითი პენალტებით 4:2), „სპარტაკი“ (ნალჩიკი) — „შინიკი“ (იაროსლავლი) 3:4, „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) — „როსტსელმაში“ (დონის როსტოვი) 1:1 (დამატებითი პენალტებით 5:3), „მაშუკი“ (პიატიგორსკი) — „ტორპედო“ (რიაზანი) 1:0, „ისკრა“ (სმოლენსკი) — „დინამო“ (სტავროპოლი) 3:1, „ზარია“ (კალუგა) — „ზარია“ (ვოროშილოვგრადი) 1:1 (დამატებითი პენალტებით 5:3), „ფაკელი“ (ვორონეჟი) — „ყუბანი“ (კრასნოდარი) 0:2, „დრუჟბა“ (მაიკოპი) — „სოკოლი“ (სარატოვი) 3:1, „მელიორატორი“ (ჩიმკენტი) — „კუზბასი“ (კემეროვო) 0:1, „დინამო“ (სამარყანდი) — „ზვეზდა“ (პერმი) 0:2, „მელიორატორი“ (კზილ-ორდა) — „გეოლოგი“ (ტიუმენი) 1:0, „ნეფტიანიკი“ (ფერგანა) — „ალგა“ (ფრუნზე) 1:0, „დინამო“ (ბარნაული) — „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) 4:0, „ხიმიკი“ (ჯამბული) — „მეტალურგი“ (ნოვოკუზნეცკი) 3:2, „ტრაქტორი“ (პავლოდარი) — „ხანკი“ (ხანკი) 2:1 (დამატებით დროში), „ირტიში“ (ომსკი) — ცსკა 1:0, „გასტელო“ (უფა) — „ზენიტი“ (იჟევსკი) 2:1.

საქართველოს პირველობა

30 აპრილსა და 2 მაისს გაიმართა საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის VII და VIII ტურების მატჩები. გთავაზობთ მათ შედეგებს.

„დინამო“ (ზუგდიდი) — „მაღაროელი“ (ჭიათურა) 3:0, „არმაზი“ (მცხეთა) — „ქართლი“ (გორის რ-ნი) 0:0, „შადრევანი“ (წყალტუბო) — „მეშახტე“ (ტყიბული) 3:0, „მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „ამირანი“ (ოჩამჩირე) 1:1, „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) — „კოლხეთი“ (ხობი) 3:2, „დურუჯი“ (ყვარელი) — „დინამო“ (გაგრა) 1:1, „ბახტრიონი“ (ახმეტა) — „ეგრისი“ (ცხაკაია) 2:0, „სალხინო“ (გეგეჭკორი) — „ივერია“ (ხაშური) 1:0, „სქურა“ (წალენჯიხა) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 2:1, „საპოვნელა“ (თერჯოლა) 2:1, „ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „სულორი“ (ვანი) 1:1, „მადნეული“ (ბოლნისი) — „დინამო“ (ზუგდიდი) 0:4, „ამირანი“ (ოჩამჩირე) — „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) 2:0.

ფეხბურთი

# ორ ასპაქში

**ლანჩხუთში** მოეწყო პროფკავშირების ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს ფინალური გათამაშება ფეხბურთში 1971-72 და 1973-74 წლებში დაბადებულ ნორჩ ფეხბურთელთა შორის.

ფინალურ გათამაშებაში მონაწილეობდა ზონებში გამარჯვებული 6-6 გუნდი. შეჯიბრება წრიული სისტემით მიმდინარეობდა. 1971-1972 წლებში დაბადებულთა შორის ფინალში ერთმანეთს ლანჩხუთის სპორტკომბინატ „გურიასა“ და გორის რაიონის სპორტსკოლის გუნდები შეხვდნენ. ანგარიშით 3:0 გაიმარჯვეს ლანჩხუთელებმა.

მესამე ადგილისთვის ბრძოლაში ქუთაისის „ტორპედოს“ ფეხბურთელებმა ანგარიშით 5:2 დაამარცხეს რუსთავის „მეტალურგი“.

საინტერესოდ ჩატარდა 1973-74 წლებში დაბადებულ ფეხბურთელთა ტურნირიც. ფინალში ერთმანეთს თბილისის „ბერმუხა“ და სამტრედიის „ლოკომოტივის“ ნორჩი ფეხბურთელები შეხვდნენ. ანგარიშით 4:1 გაიმარჯვა „ბერმუხამ“ და საპატიო პრიზს დაეუფლა. ორივე ჯილდო დააწესა ლანჩხუთის კომკავშირის რაიკომმა. მესამე ადგილისთვის ბრძოლაში თბილისის „ლოკომოტივი“ ლანჩხუთელ თანატოლებს შეხვდა, გაიმარჯვეს თბილისელებმა — 1:0.

გათამაშებებში დაწესებული იყო პრიზები საუკეთესო მოთამაშეებისთვის. 1971-72 წლებში დაბადებულ ფეხბურთელთა შორის საუკეთესო მეკარედ მ. კუპრაშვილი („კახეთი“, გურჯაანი) დაასახელეს. საუკეთესო მცველად — მ. თანდელოვი („მეტალურგი“, რუსთავი) მიიჩნიეს. ნახევარმცველის პრიზი კ. გიორგობიანს („ტორპედო“, ქუთაისი) გადაეცა, ხოლო საუკეთესო თავდამსხმელისა — კ. ტატიშვილს (სპორტსკოლა, გორის რაიონი). საუკეთესო ფეხბურთელად გ. ფირცხალაშვილი („გურია“, ლანჩხუთი) მიიჩნიეს.

დაკომპლექტდა 1971-72 წლებში დაბადებულ ფეხბურთელთა ნაკრები, რომელიც აგვისტოში მონაწილეობას მიიღებს საკავშირო პროფკავშირების საზოგადოების პირველობაზე.

1973-74 წლებში დაბადებულ ფეხბურთელთა შორის საუკეთესო მეკარის პრიზი გ. ჭოლაძეს („მეშახტე“, ტყიბული) გადაეცა, მცველისა — ლ. გიგინეიშვილს („ლოკომოტივი“, თბილისი), ნახევარმცველისა — თ. პატარაიას (სპორტსკოლა, ლანჩხუთი), საუკეთესო თავდამსხმელი იყო ვ. ბზიავა („ლოკომოტივი“, თბილისი). ყველაზე ტექნიკური მოთამაშე გამარჯვებული გუნდის „ბერმუხას“ ფეხბურთელი გ. სირბილაძე გახლდათ. ბომბარდირის პრიზიც ამავე გუნდის წევრს ზ. კაკულიას ერგო.

უნდა აღინიშნოს ლაგოდეხის, საგარეჯოს, გორის, აბაშისა და ლანჩხუთის პარტიული, კომკავშირული და სპორტის მესვეურთა გულისხმიერება, რომლებმაც მნიშვნელოვნად შეუწყვეს ხელი ამ საინტერესო გათამაშების მაღალ დონეზე ჩატარებას.

**შ. ხანიაშვილი.**

**გუშინ** მოსკოვში გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის IX ტურის პირველი მატჩი „ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის „დინამო“ და ოდესის „ჩერნომორეცი“.

მატჩის შედეგია 3:1 ოდესელთა სასარგებლოდ.

## გათამაშების ცხრილი

| ძირითადი შემადგენლობანი | მდგომარეობა 4 მაისისთვის | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
| 1. „ზენიტი“ (ლენინგრადი) | 8 | 5 | 1 | 2 | 18-14 | 11 |
| 2. „უალგირისი“ (ვილნიუსი) | 8 | 5 | 1 | 2 | 12-8 | 11 |
| 3. „დინამო“ (კიევი) | 7 | 4 | 2 | 1 | 10-3 | 10 |
| 4. „დინამო““ (მოსკოვი) | 7 | 4 | 1 | 2 | 9-7 | 9 |
| 5. „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 7 | 3 | 3 | 1 | 7-5 | 9 |
| 6. „ტორპედო“ (მოსკოვი) | 7 | 3 | 3 | 2 | 8-7 | 9 |
| 7. „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) | 5 | 3 | 3 | 2 | 9-9 | 9 |
| 8. „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) | 8 | 2 | 5 | 1 | 6-3 | 9 |
| 9. „დინამო“ (თბილისი) | 8 | 4 | 0 | 4 | 15-13 | 8 |
| 10. „შახტიორი“ (დონეცკი) | 8 | 2 | 3 | 3 | 7-8 | 7 |
| 11. „ჩერნომორეცი“ (ოდესა) | 8 | 3 | 0 | 5 | 4-9 | 6 |
| 12. „არარატი“ (ერევანი) | 7 | 2 | 2 | 3 | 4-5 | 6 |
| 13. „ნეფთჩი“ (ბაქო) | 8 | 2 | 1 | 5 | 4-9 | 5 |
| 14. „დინამო“ (მინსკი) | 6 | 1 | 3 | 2 | 5-5 | 5 |
| 15. „მეტალისტი“ (ხარკოვი) | 8 | 1 | 3 | 4 | 6-12 | 5 |
| 16. „კაირატი“ (ალმა-ათა) | 8 | 1 | 1 | 6 | 4-11 | 3 |

**შენიშვნა:** ცხრილი ასახავს საკავშირო ჩემპიონატის მდგომარეობას VIII ტურის შემდეგ. მასში შეტანილი არ არის მოსკოვის „დინამოსა“ და ოდესის „ჩერნომორეცის“ გუშინდელი IX ტურის შეხვედრის შედეგი.

# მსაჯთა რეესტრი

გამოქვეყნდა ფეხბურთში უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატისა და თასის გათამაშების მსაჯთა რეესტრი.

დღევანდელ მატჩს თბილისის „დინამოსა“ და დნეპროპეტროვსკის „დნეპრს“ შორის იმსაჯებს მოსკოველი ი. სავჩენკო.

13 მაისს თბილისის „დინამო“ მოსკოვში შეხვდება „სპარტაკს“. მატჩის არბიტრად დანიშნულია იაროსლაველი მსაჯი ე. ალექსანდროვი.

შემდგომი შეხვედრა თბილისელებს 22 მაისს აქვთ ოდესაში „ჩერნომორეცთან“. მატჩის არბიტრია ვ. ბუტენკო (მოსკოვი).

თბილისელი საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ვ. მიმინოშვილი 4 მაისს იმსაჯებს ვილნიუსის „უალგირისსა“ და კიევის „დინამოს“ შეხვედრას, შემდეგ, 18 მაისს, მოსკოვის „ტორპედოსა“ და დნეპროპეტროვსკის „დნეპრის“ ნახევარფინალურ თამაშს სსრ კავშირის თასზე და 22 მაისს ალმა-ათის „კაირატისა“ და მინსკის „დინამოს“ მატჩს.

# უფროსები შეცვალეს

**საქართველოს** უძლიერესი ტყვიის მსროლელები, როგორც იცით, ეშერაში ქვეყნის პირველობაში მონაწილეობდნენ, ამ ასპარეზობას წინ უძღოდა საწვრთნელი შეკრება. იგი იქვე, ეშერაში ჩატარდა, სწორედ ამიტომ, რესპუბლიკურ შეჯიბრებაზე, რომელიც ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სპორტული კომპლექსის სასროლეთში გაიმართა, სპორტსაზოგადოებებმა უძლიერესი კოლექტივებით ვერ იასპარეზეს. მონაწილეთა შედეგებიც, ცხადია, მაინცდამაინც მაღალი არ ყოფილა, თუმცა, რამდენიმე სპორტსმენის გამოსვლა მაინც უნდა აღვნიშნოთ.

ორ დისციპლინაში, მცირეკალიბრიანი პისტოლეტის (მპ-5) და პნევმატური პისტოლეტის (პ-2) სროლაში გაიმარჯვა არმიელმა სპორტსმენმა ვაჟა დაუშვილმა. პირველ ვარჯიშში მან 585 ქულა შოაგროვა, მეორეში — 385. მეორედდასახელებულ სახეობაშიც ქალთა შორის არმიელი სნაიპერი ოლგა სამოილენკო პირველობდა — 382 ქულა. თავი გამოიჩინა აგრეთვე მისმა თანაგუნდელმა სერგეი ალიფერენკომ. პისტოლეტის ჩქაროსნულ სროლაში — 585 ქულა.

აღსანიშნავია პროფკავშირთა გუნდის წევრის დავით კულუმბეგოვის შედეგი „გაქცეულ ტანზე“ სროლაში — 591 ქულა. გუნდებში გამოცდილ მსროლელთა არყოფნით გამოწვეული დანაკლისი მოსწავლეებმა შეავსეს და ზოგმა საკმაო წარმატებასაც მიაღწია. მაგალითად ნ. გაბუნიამ და ზ. ზარნაძემ პირველად შეასრულეს I თანრიგის ნორმატივი.

• • •

საკავშირო პირველობაზე კი ნინო სალუქვაძის გარდა, სხვებზე უკეთესად გამოვიდა ისევ თბილისელი ვაჟა დაუშვილი. მან მეოთხე ადგილი დაიკავა მპ-5 ვარჯიშში — 587 ქულა. გარდა ამისა, იგი კიდევ ორ დისციპლინაში (მპ-6 და პპ-5) მე-8 იყო, თუმცა ფინალის წინ ორივეჯერ მე-6 პოზიცია ეკავა.

ვლადიმერ სამოილენკომ, რომელმაც ამას წინათ მცირეკალიბრიანი შაშხანით წოლილა სროლაში აბსოლუტური შედეგი აჩვენა (600 ქულა 600 შესაძლებლიდან), ამჯერად მხოლოდ 596 ქულა მოაგროვა და საუკეთესოთა ათეულშიც ვერ მოხვდა. არტურ მეტინიანმა „გაქცეულ ტანზე“ შეჯიბრებაში საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივის შესატყვისი შედეგი კი აჩვენა (586 ქულა), მაგრამ ვერც ის მოხვდა ათ საუკეთესო მსროლელს შორის.

ყველა ზემოჩამოთვლილი სპორტსმენი არმიელია. დინამოელი და პროფკავშირელი მსროლელები უფრო სუსტად გამოვიდნენ.

**ქანა ზაქარიანი,**
**სპორტის ოსტატი.**

# თამაში, რომელიც „უსდებათ“ ბიჭებს

**მოახლოვდა** თუ არა მოზარდ (1974-75 წლებში დაბადებულ) რეგბისტთა წლევანდელი რესპუბლიკური პირველობა, რომელიც ახლახან ჩატარდა თბილისში, შეჯიბრების ორგანიზატორებს ისევ ის საფიქრალი გაუჩნდათ, რომლის გამოც თვითონაც ხშირად შეწუხებულან და თბილისის სტადიონების დირექციებიც ბევრჯერ შეოწუხებიათ. თბილისელმა რეგბის მოყვარულებმა კარგად იციან რა არის ამ შეწუხების მიზეზი — მოზარდ რეგბისტთა ყველა ტურნირის წინ უპირველესი საზრუნავი სარბიელის პოვნაა. სტადიონი, რა თქმა უნდა, გამოიძებნა — ქვეყანაზე კეთილ ხალხს რა დალევს, სტუდენტქალაქისა და სამედიცინო ინსტიტუტის სტადიონების ხელმძღვანელებმა ამჯერადაც გაუმართეს ხელი მუდამ სარბიელის მაძებარ პატარა რეგბისტებს.

ვიცი, სპორტის სხვა სახეობათა წარმომადგენლები სუბიექტურობას დამწამებენ, მაგრამ მაინც ვიტყვი: პატარა რეგბისტების თამაშზე სასიამოვნო სანახაობას იშვიათად იხილავს კაცი. შენიშნავდით და, დარწმუნებული ვარ, ხშირადაც გაგიკვირებიათ: იმსახურებს თუ არა, ბევრ სპორტულ ღონისძიებას, ოღონდ კი მასობრივი იყოს იგი, ზეიმად ვნათლავთ. მოზარდ რეგბისტთა პირველობა მასობრიობით არ გამოირჩევა, სხვის „ბინაზე“, ცხადია, ზარ-ზეიმსაც ვერ გამართავენ, გარეგნულად ეს პირველობა ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი „ასაკობრივი“ შეჯიბრებაა, მაგრამ ყმაწვილებისთვის ყოველი ასეთი ტურნირი ნამდვილი დღესასწაული. და არა მარტო მათთვის. თბილისელ რეგბის მოყვარულთა „ვიწრო წრე“ ბავშვთა ასპარეზობაზე, რა თქმა უნდა, უფრო „ვიწროვდება“, მაგრამ ის, ვინც ნორჩთა თამაშებს ესწრება, გაწბილებული არ რჩება. წლევანდელი პირველობის ფინალური მატჩის მსაჯობა ფირა-ს არბიტრს ზურაბ რეხვიაშვილს შესთავაზეს. ვის ვის და მას კი ნამდვილად შეეძლო მოუცელლობა მოემიზეზებინა — სხვა თუ არაფერი, ერთი დღის მერე საბჭოთა კავშირ-ესპანეთის ევროპის ჩემპიონატის მატჩში კომისრის მოვალეობა უნდა შეესრულებინა. მიუხედავად ამისა, იგი სიამოვნებით დათანხმდა ამ წინადადებას — ჩვენი ბავშვების თამაშზე სიამოვნებით მოვდივარ, მსაჯობა რომ იოლია, ეს სხვა საქმეა, მთავარი ის არის, რომ ერთ რამედ ღირს ამათი თამაშის ნახვა, — თქვა მან მოედანზე გასვლის წინ. მართალია გამოცდილი არბიტრი. ძალიან არ მინდა სიტყვა „ვაჟკაცური“ ვახსენო, ისე გაცვდა და გაილია რეგბის ეს ყბადაღებული ეპითეტი, მაგრამ ამ „მსაზღვრელ-საზღვრულის“ „შეუღლების“ კანონიერების დასტურად ვინმემ საბუთი რომ მომთხოვოს („ეითომ სხვა სახეობებში ნაკლები ვაჟკაცობაა საჭირო?“), არ იფიქროთ საკავშირო ჩემპიონატის რომელიც გნებავთ მატჩზე დასწრება შევთავაზო — ან იმნაირ მატჩებზე მივიწვევ, ქუთაისის „მშენებლისა“ და მონინოს სსა-ს შარშანდელი. შეხვედრები რომ იყო, ან ნებისმიერ ბავშვთა ტურნირზე წავიყვან. მერწმუნეთ. გულგრილად ვერ უყურებთ, როგორ ეინიანად, თავდავიწყებით თამაშობენ პატარები ამ მართლაც ვაჟკაცურ და „საოფროსო“ რეგბის. ერთ გარემოებას კი განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი: ხშირად ვამბობთ, ქართველი კაცის ბუნებას სპორტის სათამაშო სახეობები უფრო შეეფერებაო. შეიძლება ვცდები, მაგრამ ამ მოსაზრების სისწორის არცთუ ხელწამოსაკრავი საბუთი სწორედ ჩვენი მოზარდი რეგბისტების თამაში გახლავთ.

ზემოთ ვთქვით, რომ ეს პირველობა მასობრიობით არ გამოირჩევაო. ქართველ რეგბისტთა მიღწევების მიუხედავად, ჩვენში ამ სახეობის გავრცელების არეალი, სამწუხაროდ, ძალზე შეზღუდულია. იმ ქალაქების ჩამოსათვლელად, სადაც მეტ-ნაკლები წარმატებით მისდევენ რეგბის, ერთი ხელის თითებიც საკმარისია. ამიტომ იყო, რომ ყველა გაახარა ლანჩხუთელთა დებიუტმა. მოზარდ რეგბისტთა რესპუბლიკურ პირველობაში ლანჩხუთელებმა წელს პირველად იასპარეზეს და ეს გამოსვლა მესამე საბრრზო ადგილით აღნიშნეს. ამ ადგილისათვის გამართულ მატჩში თბილისის „ივერია“ დაამარცხეს — 10:8. ეს ამ ტურნირის ყველაზე სასიამოვნო მოულოდნელობა იყო. „სამი თვეა რაც ამ ბავშვებს ვვარჯიშებ, — გვითხრა ლანჩხუთელთა მწვრთნელმა თენგიზ მენაბდემ. — რაიონში მომუშავე ვერც ერთი მწვრთნელი ვერ იტყვის, რეგბის თამაშის მსურველები ვერ ვნახეო. პირიქით: ჩვენთან, მაგალითად, იმდენ ბავშვს უნდა რეგბის სწავლა, როგორ გავწვდე არ ვიცი. მთავარია, მოგეხედონ, დაგვეხმარონ და არც რაიონს შევარცხვენთ, არც შეფებს. „კოლხეთმშენის“ მესამე მოძრავ-მექანიზებული კოლონის უფროსი ტარიელ აფხაზავა დაგვეხმარა და, ხომ ხედავთ, ხელცარიელები არ ვბრუნდებით შინ“.

არ ვიცი, დახმარება მოაკლდათ თუ სხვა რამ მიზეზია, პირველობაზე არ ჩამოსულან ჭიათურისა და ჩოხატაურის გუნდები. მათი გამოუცხადებლობა კი შეჯიბრების გულდასაწყვეტ მოულოდნელობად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან ადრე ამ რაიონების გუნდები სისტემატურად მონაწილეობდნენ პირველობაში. მოულოდნელი წელს სხვა არაფერი მომხდარა — ფავორიტი ორი იყო და ორივე ფინალში გავიდა. ეგ იყო რომ გადამწყვეტი მატჩი ცალ კარში თამაშს დაემსგავსა — თბილისის განათლების სამმართველოს რეგბისა და ბეისბოლის ბავშვთა და მოზარდთა სპეციალიზებული სკოლის მოსწავლეებმა დიდი ანგარიშით (44:10) დაამარცხეს ქუთაისელ თანატოლები და უკვე მერამდენედ გაიმარჯვეს რესპუბლიკურ პირველობაში. თბილისელ ყაჩაღებთან თამაში უნდა იყო ლაღ, ამტანებზეული. სათამაშო ეპიზოდები, ყველაზე მეტი დველ, ოქმში, ბოლოს ერთ-ორ ადგილზე [illegible] ... [illegible] ... [illegible] ...